	საკანონმდებლო რეგულაციები/ცვლილებები/ ევროდირექტივები	მიღების ვადა	მიმოხილვა	საფუძველი
1.	ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განისაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ	**სექტემბერი, 2019**	**დადგენილება** განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდს, რომლის საფუძველზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდება სახელმწიფო კონტროლი.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
2.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას საწარმოში/ორგანიზაციაში/დაწესებულებაში შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	**სექტემბერი, 2019**	**დადგენილებით** განისაზღვრება დასაქმებულთა და მესამე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი (შემდგომში - ინსპექტირების წესი) ადგენს სამუშაო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის, ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
3.	ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოების დამტკიცების თაობაზე	**სექტემბერი, 2019**	**დადგენილება** განსაზღვრავს ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებს და ამ მიზნით ადგენს ფაქტორებს, აგენტებს და აღწერს სამუშაო პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ ორსული, ახალნამშობიარე და მეძუძური ქალების, ასევე ნაყოფისა და ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
4.	18 წლამდე პირისთვის (არასრულწლოვანისთვის) განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოების დამტკიცების თაობაზე	**სექტემბერი, 2019**	**დადგენილება** განსაზღვრავს არასრულწლოვანი პირებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებს და ამ მიზნით ადგენს ფაქტორებს, აგენტებს და აღწერს სამუშაო პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
5.	მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობისასუსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებისა და სამუშაო ადგილებზე მინიმალური სტანდარტების დადგენის თაობაზე	**სექტემბერი, 2019**	**ტექნიკური რეგლამენტი** განსაზღვრავს მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **ასოცირების ხელშეკრულება (დირექტივა 90/270/EEC)**

6.	საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა	**სექტემბერი, 2019**	**კანონით** განისაზღვრება შრომის კანონმდებლობისა და პირობების ზედამხედველობის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
7.	საქართველოს ტერიტორიაზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების სავალდებულო დაზღვევის (მინიმალური პაკეტის) წესისა და პროცედურების შესახებ	**სექტემბერი, 2019**	**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება** ადგენს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ უბედური შემთხვევებისა და პროფესიუალი დაავადებების შემთხვევების სავალდებულო დაზღვევის მინიმალურ სტანდარტს.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**
8.	დირექტივა 89/654/EEC სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	**სექტემბერი, 2019**	დირექტივა განსაზრავს: -სამუშაო სივრცის განათებით უზრუნველყოფას რეკომენდირებული პარამეტრების შესაბამისად; -სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირი ან ხანგრძლივი შესვენებისას დასაქმებულთა,მათ შორის ორსული და მეძუძური დედებისათვის უზრუნველყოფას კვებისა და დასვენების უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი შესაბამისი ფართით; - სანიტარული წერტილების მოწყობას მოთხოვნების შესაბამისად;	**ასოცირების ხელშეკრულება**
9.	დირექტივა 2009/104/EC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	**სექტემბერი, 2019**	დირექტივა განსაზღვრავს დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილზე სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს. იგი ადგენს ხმოვანი, ხილული, სავალდებულო, მაფრთხილებელი, ამკრძალავი და სარეკომენდაციო ნიშნების გამოყენებს. წინამდებარე რეგლამენტი ეხება ყველა იმ საწარმოს, ორგანიზაციასა და სამუშაო ადგილს, რომლებიც რეგულირდება სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონით და სადაც შრომითი საქმიანობა ან სამუშაოსთან დაკავშირებული სწავლება ტარდება ასეთი საწარმოების და ორგანიზაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ან/და ადგილმდებარეობის მიუხედავად.	„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **საქართველოს მთავრობა 2021 წლის 1 სექტემბრამდე** უზრუნველყოს - სამუშაო ადგილზე სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სრულად ამოქმედებას

10.	სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	**სექტემბერი, 2020**	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და მათი გამოყენების წესები, რომელიც დაფუძვნებული იქნება რისკის შეფასებაზე, აგრეთვე იმ საქმიანობის არასრული ჩამონათვალი განისაზღვრება, რომლებსაც შესაძლოა სჭირდებოდათ ინდივიდუალური დამცავი საშუალებები.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **ასოცირების ხელშეკრულება (დირექტივა 89/656/EEC)**
11.	სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით დასადგენი მინიმალური მოთხოვნების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება	**სექტემბერი, 2020**	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მინიმალურ მოთხოვნები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნიშნებთან დაკავშირებით.	**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **ასოცირების ხელშეკრულება (დირექტივა 92/58/EEC)**
12.	დირექტივა 92/91/EEC ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	**სექტემბერი, 2020**	ამ დირექტივის აღსრულებისას, დამსაქმებლები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ უსაფრთხოების ზომები სამუშაოს საწყის ეტაპზევე; დარწმუნდნენ, რომ ადგილზე არის ზედამხედველი პირი და, რომ უსაფრთხოების ინსტრუქციები ცნობილია ყველა დასაქმებულისთვის.	**ასოცირების ხელშეკრულება**
13.	დირექტივა 92/104/EEC ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	**სექტემბერი, 2020**	დირექტივა ვრცელდება მიწის ზედაპირსა და მიწის ქვეშ მომპოვებელ ინდუსტრიებზე, მათ შორის მინერალების შემსწავლელ და გასაყიდ სამუშაოებზე. დირექტივა არ ვრცელდება უკვე მოპოვებული მინერალების შემდგომ არსებულ პროცესებზე. დირექტივის მოთხოვნების მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, ადგილები, სადაც არსებობს განსაკუთრებული საფრთხე, უნდა იყოს მარკირებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით. ასევე დასასვენებელი ოთახი, რომელიც უნდა იყოს ადეკვატური მუშების რაოდენობის შესაბამისად და საკმარისად აღჭურვილი მაგიდებით/სავარძლებით. ასევე ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს კვალიფიციური პერსონალის, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება, რათა შეძლონ დაკისრებული ვალდებულების შესრულება შესაბამისი ინსტრუქციების თანხლებით.	„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **საქართველოს მთავრობა 2023 წლის 1 სექტემბრამდე**